**კაზუსი #1.**

ანდროს 2008 წლის მარტიდან შეუწყდა დევნილის სტატუსი რადგან კანონის შესაბამისად არ გაიარა რეგისტრაცია. ანდროს საპატიო მიზეზი ჰქონდა კერძოდ 2006 წლის აგვისტოდან 2012 წლის 8 აგვისტომდე იმყოფებოდა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში აფხაზეთის ტერიტორიაზე. ლტოლვილთა რეესტრის სამმართველოს უფროსმა 2013 წლის 13 მაისს მიიღო გადაწყვეტილება არ აუნაზაღაუროს ანდროს მიუღებელი თანხა 1166 ლარის ოდენობით.

ანდრომ 2013 წლის 10 ივნისს ლტოლვილთა სამინისტროში გაასაჩივრა ეს გადაწყვეტილება, რაზეც 2013 წლის ივლისში უარყოფითი პასუხი მიიღო. პასუხი დასაბუთებული იყო იმით, რომ ანდრომ არ გაიარა სავალდებულო რეგისტრაცია. აღსანიშნავია, რომ კანონი ითვალისწინებს ამგვარ შემთხვევას. კერძოდ, ანდროს უნდა შეეტყობინებინა სამინისტროსთვის თავისი მდგომარეობის შესახებ. სამინისტროს წარმომადგენლები უნდა ჩასულყვნენ და ადგილზე უნდა დაერეგისტრირებინათ ანდო. თუმცა, რადგან ანდრო ოკუპირებულ ტერიტორიაზე იყო, შეტყობინების შემთხვევაშიც საეჭვო არის შეძლებდნენ თუ არა მის ადგილზე დარეგისტრირებას. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ სამინისტრომ არ შეასრულა ვალდებულება, კერძოდ, არ გამოიკვლია საქმის გარემოება და ანდროს მდგომარეობა. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ არ ჩატარებულა ზეპირი მოსმენა.

1. განსაზღვრეთ 2013 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილების სამართლებრივი ფორმა;
2. განსაზღვრეთ ამავე გადაწყვეტილების სამართლებრივი ფორმა.

**კაზუსი #2.**

შპს „კავკასიას“ სურდა ბოლნისში მდებარე ტყის მასივებზე ლიცენზიის მიღება. მან განცხადებისთვის ყველა საჭირო დოკუმენტი წარმოადგინა. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ განცხადება 78-ე მუხლის დაცვით იყო წარმოდგენილი. 2011 წლის 2 ნოემბერს სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება ლიცენზიის გაცემის თაობაზე და ჩაატარა ფორმალური ადმინისტრაციული წარმოება. შპს „კავკასია“ საპატიო მიზეზით ვერ დაესწრო ადმინისტრაციულ წარმოებას. გარემოს დაცვის სამინისტრომ ზეპირი მოსმენით მაინც მიიღო გადაწყვეტილება ტყის მასივებზე ლიცენზიიის გაცემის თაობაზე. 2011 წლის 5 ნოემბერს შპს „კავკასიასა“ და გარემოს დაცვის სამინისტროს შორის გაფორმდა ხელშეკრულება ტყის მასივებზე სამონადირეო მეურნეობის განვითარებისა და მართვის შესახებ. 2 ნოემბრის გადაწყვეტილებამდე და ხელშეკრულების დადებამდე ტყის მასივებით სარგებლობდა მოსახლეობა. გადაწყვეტილების მიღებისა და ხელშეკრულების დადების შემდეგ მათ საძოვრების თუ რაღაცის სარგებლობობის უფლება შეეზღუდათ და ვინც ისარგებლებდა ტყის მასივებით თანხას იხდიდა ბიუჯეტის სასარგებლოდ. 2011 წლის 20 დეკემბერს ტყით მოსარგებლე გიორგიმ საჩივრით მიმართა მთავრობას 2 ნოემბრის გადაწყვეტილებისა და 5 ნოემბრის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ. მთავრობამ საჩივარი დაუშვებლად ცნო.

1. განსაზღვრეთ 2011 წლის 2 ნოემბერს მიღებული გადაწყვეტილების სამართლებრივი ფორმა და კანონიერება.
2. განსაზღვრეთ 2011 წლის 5 ნოემბერს დადებული ხელსჰეკრულების სამართლებრივი ფორმა და კანონიერება.
3. კანინერია თუ არა მთავრობის გადაწყვეტილება.

**კაზუსი #3.**

ელექტროენერგიის მარეგულირებელი კომისიამ საკუთარი ინიციატივის საფუძველზე შეუწყვიტა ლიცენზია ელექტროენერგიის მიწოდებაზე შპს „პატარა კახს“. მარეგულირებელმა კომისიამ „პატარა“ კახი“ არ ჩართო ადმინისტრაციულ წარმოებაში, მეტიც, საერთოდ არ მიაწოდა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როდის გაიმართებოდა ადმინისტრაციული წარმოება. აღნიშნული წარმოების შედეგად კომისიამ ბათილად ცნო ლიცენზია და ოფიციალურად გააფორმა. ამის შემდეგ კომისიამ სელშეკრულება დადო სხვა შპს-სთან. „პატარა კახმა“ გაასაჩივრა ზემოხსენებული ხელშეკრულება, თუმცა, მთავრობამ საჩივარი არ დააკმაყოფილა.

1. რა სახის გადაწყვეტილება მიიღო მთავრობამ.
2. დაადგინეთ ამ გადაწყვეტილების კანონიერება.
3. განიხილეთ ხელშეკრულების მართლზომიერება.

**კაზუსი #4.**

ნინო ბალანჩივაძეს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთთან აქვს ერთადერთი მისასვლელი გზა სამხრეთის მხრიდან რომელიც საჭიროებს მოწესრიგებას.ნინომ ჯერ სპეციალურ სამსახურს მიმართავს ამის შესახებ საიდანაც შეიტყობს, რომ მისი მოთხოვნის დაკმაყოფილება დასაშვებია, მაგრამ ჯერ უნდა მიმართოს ქ.თბილისის მერიის ქონების მართვის სააგენტოს. მიმართავს ნინო მათ და ისინი განცხადებაზე უარს ეტყვიან, ყოველგვარი ახსნის და დასაბუთების გარეშე. მეტიც, წარმოებაშიც კი არ ჩართეს მათ ნინო. შემდეგ მათ პასუხს ნინო გაასაჩივრებს თბილისის მერიაში და მერია საჩივრის განხილვაზე უარს ეტყვის, რადგან ჩვენ არ გვაქვს უფლება მსგავსი საჩივრები განვიხილოთო. თუმცა, ქონების მართვის სააგენტოს შინაგანაწესის მიხედვით ყველა აქტი და გადაწყვეტილება რომელსაც სააგენტო მიიღებს საჩივრდება ქ. თბილისის მერიაში.

1. განსაზღვრეთ მერიის გადაწყვეტილების სამართლებრივი ფორმა.
2. განსაზღვრეთ ამ გადაწყვეტილების კანონიერება.

**კაზუსი #5.**

სერჟანტი ზურაბ ჯეჯელავა გარდაიცვალა 2008 წლის აგვისტოს ომში. მას ჰყავდა დედა, ცისანა ჯეჯელავა, და მეუღლე, რიტა არქანია, რომელთანაც იმყოფებოდა არარეგისტრირებულ ქორწინებაში. საქართველოს პრეზიდენტის მიერ 2009 წლის 10 მარტს მიღებულ იქნა განკარგულება, რომლის თანახმადაც აგვისტოს ომის შედეგად გარდაცვლილების და უგზო-უკვლოდ დაკარგულების ოჯახებისთვის საქართველოს თავდაცვის და შინაგან საქმეთა სამინისტროებს უნდა გადაეცა სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართები პირდაპირი მიყიდვის წესით, სიმბოლურად 1 ლარად. აღნიშნული განკარგულებით, შსს-ს დაევალა შესაბამისი პირების შერჩევა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში წარსადგენად. შსს-მ გაუგზავნა ეკონომიკის სამინისტროს იმ შსს-ს თანამშრომელთა ოჯახების სია, სადაც გარდაცვლილი ზურაბ ჯეჯელავას ოჯახის წევრად მითითებული იიყო რიტა არქნია, ხოლო დედა, როგორც გარდაცვლილის ოჯახის სხვა წევრი. პრეზიდენტის 2009 წლის 10 დეკემბრის ბრძანებით სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, პირდაპირი წესით გადაეცა საკუთრებაში რიტა არქანიას. 2009 წლის 11 დეკემბერს ეკონომიკის სამინისტროს და რიტა არქანიას შორის გაფორმდა ხელშკრულება, რომლის საფუძველზე რიტას გადაეცა ბინა თბილისში. ზურაბ ჯეჯელავას დედამ, ცისანა ჯეჯელავამ, საჩივრით მიმართა მთავრობას და მოითხოვა პრეზიდენტის 2009 წლის 10 დეკემბრის ბრძანებისა და 2009 წლის 11 დეკემბრის ეკონომიკის სამინისტროსა და რიტა არქანიას შორის დადებული ხელშეკრულების ბათილად ცნობა. მთავრობამ არ დააკამაყოფილა საჩივარი იმ მოტივით, რომ რადგან პრეზიდენტი აღჭურვილია ფართო დისკრეციული უფლებამოსილებით, ზურაბ ჯეჯელავასთან არარეგისტრირებულ ქორინებაში მყოფი რიტა არქანია შეიძლება მოიაზრებოდეს მის ოჯახის წევრად.

1. განსაზღვრეთ პრეზიდენტის 10 დეკემბრის გადაწყვეტილების სამართლებრივი ფორმა და კანონიერება.
2. განსაზღვრეთ ეკონომიკის სამინისტროსა და რიტა არქანიას შორის დადებული ხელშკრულბის სამართლებრივი ბუნება და კანონიერება.